



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**თ ე რ ჯ ო ლ ა**  
**მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 36**

30/03/2018

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:


**მუხლი 1.** განისაზღვროს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული 2018 წლის მარტის თვეში ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** უზრუნველყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს წევრთა საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების დარიცხვა ამ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მიხედვით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი“-ს შესაბამისად.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერტილის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

Handwritten signature in black ink, appearing to read 'ნ. ჯანელიძე'.

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო